გავუსწოროთ თვალი სიმართლეს

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 2 ოქტომბერი. 75 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი) 1:2.

“დინამო”: აბუსერიძე, კეტაშვილი, მახარაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, შენგელია.

“ტორპედო”: სარიჩევი, კრუგლოვი, პივცოვი, გოსტენინი, ჟუპიკოვი, პეტრენკო, კობზევი, სოლოვიოვი, პოლუკაროვი, სუსლოპაროვი, რედკოუსი.

34–ე წთ. კობზევი, მე–60 წთ. ცაავა, 78–ე წთ. პოლუკაროვი.

46–ე წთ. გუცაევის ნაცვლად – მესხი, 72–ე წთ. ჭედიას ნაცვლად – ჩქარეული, 83–ე წთ. სოლოვიოვის ნაცვლად – შავეიკო, 85–ე წთ. პეტრენკოს ნაცვლად – გალაიბა.

მსაჯი: ივან ტიმოშენკო (როსტოვი).

კარში დარტყმა – 16:13 (7:8), ზუსტი დარტყმა – 6:5 (2:3), საჯარიმო მოედნიდან – 11:8 (4:6).

კუთხური – 7:8 (3:5).

დაჯარიმდნენ თბილისელები – 4 (3), მოსკოველები – 8 (6).

რაღა თქმა უნდა, მატჩი პრინციპული იყო – ორივე მეტოქე მკვეთრად იუმჯობესებდა მედლების მოპოვების შესაძლებლობებს. როგორც შეხვედრამ ცხადყო, მოსკოველი ფეხბურთელები უფრო მობილიზებულნი შეხვდნენ თამაშს. წინა მატჩებისაგან განსხვავებით, “დინამო” როგორღაც შებორკილი გამოიყურებოდა მინდორზე – როგორც ჩანს, იმოქმედა ლიდერობისთვის ბრძოლის ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა, რაც ჩვეულებრივი ამბავია სპორტში. ალბათ არც იმის მიჩქმალვა იქნებოდა სწორი, რომ “ტორპედომ” მართლაც შესანიშნავად ითამაშა, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინა.

მატჩის დასაწყისში უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია. მართალია, გოლის გატანის პირველი შესაძლებლობა თბილისელებს ჰქონდათ (მე–20 წუთზე კაკილაშვილი სულ ახლოს იყო მიზანთან), მაგრამ მერე და მერე თამაშის სადავეები “ტორპედომ” აიღო ხელში. მოსკოველებმა საიმედოდ ჩაკეტეს გუცაევი და შენგელია, მინდვრის ცენტრი კი სოლოვიოვისა (8) და პოლუკაროვის (9) სრულ განკარგულებაში აღმოჩნდა. შემდეგ თბილისელთა ცენტრალური ნახევარმცველი ცაავა გუნდს მოწყდა. 25–ე წუთზე ძალზე ძნელი ბურთი მოიგერია მეკარე აბუსერიძემ.

“ტორპედო” იერიშებისთვის სრულად იყენებს ფლანგებს. პირველი გოლი თბილისელთა კარში სწორედ სოლოვიოვის ფლანგიდან ჩამოწოდებისა და კობზევის ზუსტი დარტყმის შედეგად გავიდა.

მეორე ტაიმში ვითარება შეიცვალა. “დინამომ” ტემპს უმატა, შესამჩნევად გააქტიურდა ცაავა, მინდვრის ცენტრში უფრო ხშირად ებმებიან ბრძოლაში სხვა ნახევარმცველებიც. “ტორპედოს” კართან მომრავლდა სახიფათო სიტუაციები. ერთ–ერთი იერიშისას ცაავამ შორიდან ძლიერად დაარტყა და ანგარიში გათანაბრდა.

მასპინძლები ახლა ფლანგებსაც უკეთ იყენებენ. კარგი იყო სვანაძისა და არზიანის რეიდები, მაგრამ ერთი საყვედური მაინც უნდა ითქვას – თბილისელებმა ალბათ სრულად ვერ შეძლეს მესხის ამოქმედება და ამან უთუოდ დააკლო სიმძაფრე

“დინამოს” იერიშებს. და მაინც, მეორე ტაიმი უთუოდ იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ შეიძლებოდა მატჩის ფრედ დამთავრება. “დინამომ” მოგებაზე თამაში ამჯობინა (რა თქმა უნდა, საძრახისი ამაში არაფერია, პირიქით), მაგრამ ორი ქულის აღება გუშინდელ კონკრეტულ შეხვედრაში ალბათ აღემატებოდა მასპინძელთა შესაძლებლობებს.

მატჩის დასკვნითი ნაწილი “ტორპედომ” უკეთ ითამაშა. 70–ე და 71–ე წუთებზე სუსლოპაროვსა (10) და პოლუკაროვს ჰქონდათ გოლის გატანის ხელსაყრელი მომენტები, 68–ე და 72–ე წუთებზე მესხსა და ცაავას შეეძლოთ თავის გამოჩენა. ცოტა ხნის შემდეგ კი თავისი შანსი არ გაუშვა პოლუკაროვმა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში უთუოდ შესცოდეს თბილისელთა მცველებმა.

წაგება ყოველთვის და ყველანაირ სიტუაციაში საწყენია, ორმაგად დასანანია წაგება საკმაოდ ხანგრძლივი დაუმარცხებელი მატჩების სერიის შემდეგ, მაგრამ თამამად გავუსწოროთ თვალი სიმართლეს და ვთქვათ: უეჭველად ბევრი გაკეთდა გუნდში, შესაძლოა, უფრო მეტი ჯერ კიდევ გასაკეთებელია და სწორედ ამიტომაც ვერ ვხედავ მიზეზს, რომ ერთი ან თუნდაც ორი მატჩისგან მიღებული წყენა გულის გატეხვად ვაქციოთ.

ირაკლი ბერიაშვილი.

მატჩის შემდეგ აზრი გამოთქვეს თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ტორპედოს” უფროსმა მწვრთნელებმა დავით ყიფიანმა და ვალენტინ ივანოვმა.

დავით ყიფიანი: “ტორპედოელთა გამარჯვება ამ შეხვედრაში სავსებით დამსახურებული და კანონზომიერი იყო. ჩვენმა ნახევარმცველებმა ვერ გაართვეს თავი დაკისრებულ ამოცანას და პირწმინდად წააგეს ჭიდილი მეტოქის შუა ხაზის მოთამაშეებთან. საყვედური თანაბრად ეკუთვნის სვანაძესაც, ცაავასაც, ჭედიასაც და კაკილაშვილსაც. დინამოელები დიდხანს ანდომებდნენ შუა მინდვრის გადალახვას, ნაკლებს მანევრირებდნენ, მეტისმეტად ხშირად სცოდავდნენ გადაცემებში. დარწმუნებული ვარ, გუცაევსა და შენგელიას უფრო სწრაფად რომ ემოქმედათ, მეტ თავსატეხს გაუჩენდნენ თავიანთ მეურვეებს. შეხვედრის დასაწყისში მიღებულმა ტრავმამ გუცაევს საშუალება არ მისცა სრული ძალით ეთამაშა. არ იფიქროთ, თითქოს წარმატებით ჩატარებული მატჩების სერიამ დაგვამშვიდა და არხეინ გუნებაზე დაგვაყენა. დღეს ისეთ მეტოქეს ვხვდებოდით, ვისთანაც სრული მობილიზება, ძალების უკიდურესი დაძაბვაა საჭირო. მაგრამ ჩვენმა გუნდმა, ეტყობა, ჯერ ვერ მიაღწია იმ დონეს, რომ ასეთი სულისკვეთებით ატარებდეს გადამწყვეტ, პრინციპულ შეხვედრებს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ტორპედოელთათვის ინიციატივის დათმობა. საქმეს ვერც ცოტათი უკეთ ჩატარებულმა მეორე ტაიმმა უშველა. “ტორპედომ” აშკარად გვაჯობა ათლეტურ მომზადებაში.

ამ წაგებიდან, ჩემი აზრით, ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. თუ მარცხმა არაფერი გვასწავლა, დავკარგავთ ყოველივე იმას, რაც ბიჭებმა მთელი წლის განმავლობაში თავდაუზოგავი შრომით მოიპოვეს. ლიტონი სიტყვები ნუ გეგონებათ: წაგებიდან ჩვენთვის სასარგებლო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ”.

ვალენტინ ივანოვი: “თბილისში “სპარტაკთან” დიდი ანგარიშით წაგებული მატჩის მერე ჩამოვედით. მაგრამ, როგორც ჩანს, მარცხმა ჩვენს ფეხბურთელებზე დადებითად

იმოქმედა. ყოველ შემთხვევაში, თამაშის წინ ჩემი ბიჭების შემხედვარე კაცი ვერ იტყოდა, საბრძოლო განწყობა აკლიათ ან ნირი აქვთ წამხდარიო. დღევანდელ მატჩში "ტორპედოს" მთავარი მიზანი გუცაევისა და შენგელიას ნეიტრალიზება იყო, რასაც შესანიშნავად გაართვეს თავი გოსტენინმა და პივცოვმა. ამ ორი სწრაფი და ტექნიკური თავდამსხმელის გარეშე კი დინამოელთა შეტევებმა, საერთოდ მათმა თამაშმა დაკარგა სიმწყობრე. უნდა გითხრათ, რომ გარკვეულწილად ბედმაც გაგვიღიმა – მატჩი სხვაგვარადაც შეიძლებოდა დამთავრებულიყო. არ შემიძლია არ აღვნიშნო დინამოელთა შესანიშნავი თამაში შეხვედრის ბოლო მონაკვეთში. საერთოდ, გუნდმა ნახევარ წელიწადში უზარმაზარი ნახტომი გააკეთა, რაც პირადად მე გულწრფელად მახარებს. დინამოელებს პირველ წრეშიც შევხვდით და ამ ორი მატჩის შედარება გვიჩვენებს, რა დიდი შრომა გასწია ჩვენმა მეტოქემ. თბილისის "დინამო" სწორ გზაზეა და ალბათ სულ მალე დაიმკვიდრებს ჩვეულ ადგილს საბჭოთა ფეხბურთის მოწინავე კოლექტივებს შორის".

"ლელო", 3 ოქტომბერი, 1984 წ.